



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 98

ქალაქი ქუთაისი

25

ივლისი

2018 წელი

ქალაქ ქუთაისის მერის 2008 წლის 29 იანვრის № 119 ბრძანების საფუძველზე, 2008 წლის 27 თებერვალს თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გაფორმებულ №93 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორებისა და მუნიციპალიტეტის ქონების ტოლფასი ქონების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ფიზიკური ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრებაში გადაცემის დამატებითი წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 18 ივლისის №01/16636 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, გიორგი ჭიღვარიას, ქალაქ ქუთაისის მერის 2008 წლის 29 იანვრის №119 ბრძანების საფუძველზე, 2008 წლის 27 თებერვალს თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გაფორმებულ №93 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, კერძოდ:

1. შეიცვალოს ხელშეკრულების სათაური და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების, უსასყიდლო უზუფრუქტით, თხოვების ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“.

2. ხელშეკრულების მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემული ქონების (შენობა-ნაგებობის) იჯარით გაცემა, გაქირავება, თხოვების ფორმით გაცემა.

7.1. უზუფრუქტუარს უფლება აქვს სარგებლობაში გასცეს (გააქირავოს, იჯარით გასცეს, თხოვების ფორმით გადასცეს) უზუფრუქტის უფლებით გადაცემული ქონება, ან მისი ნაწილი, მესაკუთრესთან შეთანხმებით. ამასთან, სარგებლობის პირობები უნდა გამომდინარეობდეს და შეესაბამებოდეს წინამდებარე ხელშეკრულებას. ხელშეკრულების ვადის დასრულების, ან ვადამდე გაუქმების შემთხვევაში, სარგებლობა წყდება;

7.2. უზუფრუქტის უფლებით გადაცემული ქონების, ან მისი ნაწილის, სარგებლობაში გაცემის (გაქირავების, იჯარით გაცემის, თხოვების ფორმით გადაცემის) შემთხვევაში, მესაკუთრე და უზუფრუქტუარი ინარჩუნებენ ურთიერთნაკისრ ვალდებულებებს.“

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, გიორგი ჭიღვარიამ უზრუნველყოს ცვლილების ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრადის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნიკოლოზ ლატარია